344/107-04
25.12.2019

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ამ მინდობილობით სს "თიბისი ბანკი"-ს (ს/ნ 204854595) რეგიონალურ დირექტორს, ქეთევან აბრამიშვილს (პირადი ნომერი: 01027013921) ენიჭება უფლებამოსილება, მის დაქვემდებარებაში შემავალ სერვისცენტრებთან დაკავშირებით:

- ხელი მოაწეროს სს "თიბისი ბანკის" სათავო ოფისის ბლანკზე დაბეჭდილ ნებისმიერ საბუთს, რომელიც შეეხება მის დაქვემდებარებაში შემავალ სერვისცენტრების საქმიანობასთან დაკავშირებულ და სერვისცენტრების ხელმძღვანელის (რეგიონალური დირექტორის) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;
- მინდობილობების გაფორმების (გაცემის) მეშვეობით, გადასცეს სერვისცენტრების დასაქმებულებს (თანამშრომლებს), სერვისცენტრის ხელმძღვანელის (რეგიონალური დირექტორის) ცალკეული უფლებამოსილებები.

მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 03 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ნინო მასურაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის სერვისცენტრი #2
JSC "TBC Bank", Marjanishvili s/c #2

02/102-01
26.03.2020

თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 13 თებერვალს გაფორმდა №1231232786119 იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს "თიბისი ბანკში" იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი ფართი:

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო კოდი: № 01.11.19.004.021;

სს "თიბისი ბანკი" თანახმაა მოხდეს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის 02/1 და 03/1 დემონტაჟი ისე რომ სს "თიბისი ბანკი"-ს იპოთეკა დარჩეს უცვლელი არსებულ მიწის ნაკვეთზე სრულად და ასევე გავრცელდეს დემონტაჟის შედეგად მიღებულ ფართებზე სრულად.

სს "თიბისი ბანკის" წარმომადგენელი

ნინო წერეთელი

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო
7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge

1/10-01
03.01.2020

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ამ მინდობილობით სს "თიბისი ბანკი"-ს რეგიონალური დირექტორი ქეთევან აბრამიშვილი (პ/ნ 01027013921/13IG14724),ანიჭებს უფლებამოსილებას, მარჯანიშვილის ს/ც #2-ის სერვის მენეჯერს - **ნინო წერეთელს** (პ/ნ 01017017161/16IA19542) სს ,,თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას, მათ შორის: წერილს, მინდობილობას და ხელშეკრულებას, წინასწარ დადგენილი სტანდარტული ფორმით სერვისცენტრის მიერ გასაფორმებულ საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთიან ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის გაუქმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტს, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, სერვისცენტრის თანამშრომლებთან გასაფორმებელ შრომით ხელშეკრულებებს და სხვა სახის ხელშეკრულებებს. დირექტორის მოადგილე (სერვისის/საოპერაციო მიმართულებით) განისაზღვრება აგრეთვე,პლასტიკური ბარათების პინ კოდებზე პასუხისმგებელ პირად რაც აუცილებელი იქნება სერვისცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.
ამ მინდობილობით „თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ს/ც #2-ის სერვის მენეჯერს - ნინო წერეთელს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს ,,თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეგიონალური დირექტორი:

ქეთევან აბრამიშვილი

ხელმოწერა:

სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის თვრამეტ სექტემბერს მე, დავით ჩალათაშვილს საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, მომმართა **დავითი ნიქაბაძემ**, როგორც შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) დირექტორმა, მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქართა ქ. #14გ. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავითი ნიქაბაძემ** (დაბ. 23.03.1961წ., რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, I კვარტალი, კორპუსი 4, ბინა 42, პირადი #53001001231, პ/მ სერია 11IA15965) მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19066290, 13/06/2019 14:22:57) და შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **დავითი ნიქაბაძე** ნამდვილად არის შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **დავითი ნიქაბაძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, **დავითი ნიქაბაძემ** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) დირექტორმა, ამ მინდობილობით, **ნორა შიუკაშვილს** (დაბ.:26.02.1981, პირადი #20001006101) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ნორა შიუკაშვილი:

1. იცავს **ჩემს, როგორც შპს „ჯი არ სი“-ს დირექტორის** ინტერესებს და წარმომადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, სანოტარო ბიუროში, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, შსს მომსახურების სააგენტოში, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში;
2. **ნორა შიუკაშვილი** უფლებამოსილია დადოს **ჩემი, როგორც შპს „ჯი არ სი“-ს დირექტორის** სახელით გააფორმოს იპოთეკის ხელშეკრულებები (სადაც **შპს „ჯი არ სი“** იქნება იპოთეკარი) ან/და ვალის აღიარების ხელშეკრულებები (სადაც **შპს „ჯი არ სი“** იქნება კრედიტორი), გაუგრძელოს ვადა აღნიშნულ ხელშეკრულებებს, განსაზღვროს ხელშეკრულების სხვა პირობები და მიიღოს თანხა.
3. **ნორა შიუკაშვილი** იყოს ჩემი, როგორც შპს „ჯი არ სი“-ს დირექტორის სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია 2020 (ორი ათას ოცი) წლის 31 (ოცდათერთმეტ) დეკემბრამდე. რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან. 2. შპს **„ჯი არ სი“-ს** წესდება ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში (მინდობილობა, დამოწ. ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის მიერ 15.02.2019წ., **N190163264**). გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 20 (ოცი) ლარი, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 37.40 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა:
დავითი ნიქაბაძე
(შპს **„ჯი არ სი“-ს** დირექტორი)

დავით ნიქაბაძე

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75764309832119

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191141219

რეგისტრაციის თარიღი

18.09.2019 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
ტელეფონი: 2952228 599336099

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18